



სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“

2020 წლის ანგარიშგება

სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“ (შემდგომში „ცენტრი“) შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის დამფუძნებელია სახელმწიფო, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ სახით, სახელმწიფოს 100%-იანი წილით. ცენტრი რეგისტრირებულია ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში (რეგისტრაციის თარიღი 2001 წლის 31 მაისი, რეგისტრაციის #5ა/5-84).

სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“ თავის საქმიანობას წარმართავს დამტკიცებული წესდებით. წესდების თანახმად, ცენტრი წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, რომლის ძირითადი საქმიანობის საგანია მიღებული ლიცენზიის ფარგლებში მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა, „ცენტრი“ არის ინფექციური დაავადებების, შიდსის, სხვადასხვა გენეზის იმუნოდეფიციტებისა და იმუნური სისტემის პათოლოგიის სხვა ფორმების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და ქვეყანაში მათი დანერგვის საკითხების მაკოორდინირებელი, სამკურნალო-პროფილაქტიკური, სამეცნიერო, საკონსულტაციო დიაგნოსტიკური და საორგანიზაციო-მეთოდური დაწესებულება.

სამედიცინო მომსახურების ძირითადი შემსყიდველია სახელმწიფო. ამდენად, ცენტრის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა დამოკიდებულია სამედიცინო პროგრამების დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობაზე.

„ცენტრი“ ასრულებს შემდეგ სახელმწიფო პროგრამებს: „ინფექციურ დაავადებათა მართვა“, „აივ ინფექცია/შიდსის ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა“, „რეფერალური დახმარების“ პროგრამა, „სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო გამოკვლევის“, „აივ/ინფექცია შიდსის მაღალი რისკის ჯგუფის პირთა ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება“

2015 წლის აპრილიდან ცენტრი მონაწილეობს „C ჰეპატიტის ელიმინაციის“ პროგრამაში, რომელიც თავისი შინაარსით და მნიშვნელობით არის მსოფლიოში უპრეცედენტო. დაავადების პრევენციასთან ერთად, პროგრამა ითვალისწინებს პაციენტებისთვის ახალი თაობის მედიკამენტის უსასყიდლო მიწოდებას და დიაგნოსტიკური კვლევების თანადაფინანსებას. ამასთანავე ცენტრის უდიდესი დამსახურებაა თავად პროგრამის შემუშავება-დაგეგმვა ჯანდაცვის სამინისტროს ჯგუფთან ერთად.

ცენტრი არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის, შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის“, შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“, შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“, ააიპ „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის“ კლინიკური ბაზა (საუნივერსიტეტო კლინიკა).

ცენტრს, გარდა წმინდა ჯანდაცვითი, აქვს ასევე გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც. ის



ასრულებს ძალიან მნიშვნელოვან პროექტს აფხაზეთთან მიმართებაში, რომელთანაც დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროსთვის ცნობილია აფხაზური მხარის შეფასებები, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სანდო და მაღალპროფესიული დაწესებულებისა და სამედიცინო პერსონალისა.

ს.ს. „ინფექციურის საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკა დაფუძნებულია აღრიცხვისა და ანგარიშების სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტებზე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტებით.

„ცენტრის“ შემოსავლის წყაროებია სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული შემოსავლები, შიდა სამედიცინო სტანდარტით განსაზღვრული მომსახურების ანაზღაურების თანხები, გლობალური ფონდის პროექტები, სხვადასხვა სამედიცინო-კვლევითი პროექტებიდან მიღებული შემოსავლები და სხვა.

ხარჯების უმეტეს ნაწილს შეადგენს სახელმწიფო პროგრამებით შეძენილი მედიკამენტები და სამედიცინო დანიშნულების საგნები; კომუნალური და საერთო-სამეურნეო ხარჯები, ხელფასები, მივლინებები, საკუთრების დაცვა, პაციენტების პროგრამული გამოკვლევების ხარჯები და სხვა.

2020 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა და შეადგენს 4 243 664 ლარს, რაც წარმოადგენს 4 243 664 ცალ ჩვეულებრივ აქციას, ერთი აქციის ნომინალური ერთი ლარის ღირებულებით.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის“ მინისტრის 2020 წლის 24 იანვრის N 01-18/ო ბრძანების თანახმად, „ახალი კორონავირუსის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის, შემთხვევათა გამოვლენის, ეპიდსიტუაციის ზოგადი მონიტორინგის, სწრაფად და ადექვატური რეაგირების, ინფორმირებისა და სიტუაციის მართვის კოორდინაციის მიზნით, ს.ს. „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის“ ბაზა განისაზღვრა პრიორიტეტული მიღების დაწესებულებად და გამოვლენილი შემთხვევების რეფერალური მკურნალობის განმახორციელებლად.

2020 წლის აპრილის თვიდან ცენტრი ჩაერთო „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID – 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის“ კომპონენტის მართვის პროგრამაში.

ყველაზე მთავარ პრობლემად რჩება ცენტრის შენობის საკითხი. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N1341 და 2020 წლის 10 სექტემბრის N1757 განკარგულებების საფუძველზე „სამედიცინო ინოვაციების ცენტრისგან“ შეძენილია ლუბლიანას ქუჩა N70-ში მდებარე (ს/კ 01.13,01,010,089) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4566 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (საერთო ფართობი 15350,94 კ.მ). მაგრამ შენობა არის სარემონტო და მას ვერ ვიყენებთ სამედიცინო მიზნებისათვის.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პრობლემებისა, „ცენტრი“ დგას აუცილებლობის წინაშე გაამართლოს სათაო დაწესებულების სტატუსი და იყოს ერთ-ერთი მოწინავე სამედიცინო დაწესებულება ინფექციური დაავადებების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პაციენტზე ზრუნვის საქმეში. მის მთავარ მიზანს



წარმოადგენს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის მიღწევების ყოველდღიურობაში დანერგვის გზით პაციენტებზე მზრუნველობის მაღალი ხარისხის მიღწევა უწყვეტი სამედიცინო განათლების მქონე პერსონალის საშუალებით. დასახული მიზნის მისაღწევად ცენტრი მუდმივად ზრუნავს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების დანერგვისათვის, ახალი ბაზრის ათვისებისათვის.

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.01.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.01.2019
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	1763683	903754
სავაჭრო მოთხოვნები	3370652	3804357
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		
მარაგები	3013032	1397353
- მზა პროდუქცია		
- სხვა	3013032	1397353
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	25840	25701
ძირითადი საშუალებები	37733221	3028643
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	45906428	9159808

ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	1871296	120082
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	473856	156860
საგადასახადო ვალდებულებები	611117	369555
გამოუმუშავებელი შემოსავალი	2073	1706
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	54318	54318
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	1651826	1397437



სულ ვალდებულებები	4664486	2099958
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	4243664	4243664
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1651965	1525597
გადაფასების რეზერვი	2656	3320
სხვა რეზერვები	35343657	1287269
სულ საკუთარი კაპიტალი	41241942	7059850
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	45906428	9159808

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.01.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.01.2019
ნეტო ამონაგები	21,430,871	14,146,439
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	20,348,506	13,985,209
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	1,082,365	161,230
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
საწყისი მარაგები	1,397,353	1,170,992
მარაგების შესყიდვა	11,314,046	5,292,715
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	3,013,032	1,397,353
საერთო მოგება	11,732,504	9,080,085
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	7,718,944	6,052,112
ცვეთა და ამორტიზაცია	617,389	496,655
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :		
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2,969,802	2,275,125
სულ საოპერაციო ხარჯები	11,306,135	8,823,892
საოპერაციო მოგება	426,369	256,193
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		



სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	426,369	256,193
მოგების გადასახადი		38,429
მოგება/(ზარალი)	426,369	217,764
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	426,369	217,764
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	7,059,850	6,843,258
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	426,369	217,764
კაპიტალის სხვა ცვლილებები	33,755,724	(1,172)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	41,241,943	7,059,850

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.01.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.01.2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,616,909	(3,288)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(756,980)	(943,293)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	859,929	(946,581)
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	903,754	1,850,335
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,763,683	903,754

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შ.გოგიჩაიშვილი

ნ. თამაზაშვილი

